

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

პრეამბულა

1.წინამდებარე წესით განისაზღვრება ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით.

მუხლი 1. ადამიანური რესურსი, მისი მართვა

1.ადამიანური რესურსი წარმოადგენს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, ადამიანებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის.

2.თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები და ა.შ.

ადამიანური რესურსების მართვა თავის მხრივ გულისხმობს თითოეულ დასაქმებულში არსებული რესურსის წარმართვას და მის გამოყენებას კოლეჯის მიზნებისათვის.

3. ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

მუხლი 2. ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები

1.ადამიანური რესურსების მართვის მიზანია:

ა) კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა;

ბ) დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა;

გ) დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა;

დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა;

ე) თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება.

2. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა:

ა) სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება;

ბ) თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა;

გ) თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა;

დ) შრომის შინაანაწესის შესრულებისა და შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი.

ე) თითოეული საშტატო (შტატგარეშე) თანამდებობისათვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შეძლებისდაგვარად დეტალური გაწერა;

3. ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადმინისტრაცია.

მუხლი 3. ორგანიზაციული სტრუქტურა

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მართვის ორგანოებს წარმოადგენს კოლეჯის დამფუძნებელთა კრება, კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო და კოლეჯის დირექტორი.

2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგი ითვალისწინებს 27(ოცდაშვიდი) საშტატო ერთეულს, მათ შორის პედაგოგის 24 (ოცდაოთხი) საშტატო ერთეულს.

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამატებით აყვანილ იქნას შტატგარეშე თანამშრომლებიც.

მუხლი 4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევა

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესს ადგენს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წესდება.

2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დამფუძნებელთა კრება.

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც.

4. კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კოლეჯი იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

5. დასაქმების მსურველის პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში საამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია.

6. დასაქმების მსურველი პირის სამსახურში აყვანა ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

8. კოლეჯის ადამიანური რესურსების შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე პროფესიონალი, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანაშრომლებით დაკომპლექტება.